# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## „გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011–2013 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული „გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011–2013 წლების სამოქმედო გეგმა“.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის**
**თავმჯდომარე** **დ. ბაქრაძე**

**თბილისი,**
**2011 წლის 5 მაისი.**
**№4672–Iს**

# გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011–2013 წლების სამოქმედო გეგმა

| გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მიზანი: გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა | | | | | |
| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა | დაფინანსების წყარო |
| 1.1 გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა | 1.1.1 გენდერული თანასწორობის საბჭოს[1] დებულების დახვეწა საჭიროების შემთხვევაში | საბჭოს დებულების 2011 წლის ბოლომდე დახვეწა | საბჭო<br><br>საქართველოს პარლამენტი | 2011 | სახელმწიფო ბიუჯეტი[2] |
| | 1.1.2. საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხელშეწყობა დამატებითი საშტატო ერთეულის შექმნით (საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის კოორდინირების მიზნით) | საბჭოს კოორდინატორის და საჭიროების შემთხვევაში სხვა დამხმარე პერსონალის დაქირავება და ფუნქციონირება | საქართველოს პარლამენტი<br><br>საბჭო<br><br>დაინტერესებულ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი ორგანიზაციები |
| | 1.1.3. საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა ტექნიკური მხარდაჭერით (ექსპერტული მომსახურება, ცალკეული კვლევების ორგანიზება, პროგრამული და საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა (მათ შორის, ვებგვერდის შექმნა), საჭიროების შემთხვევაში ტექნიკური აღჭურვა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა) | ექსპერტების რაოდენობა, რომლებიც ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ საბჭოს სხვადასხვა ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებაში, ორგანიზებული კვლევების რაოდენობა, შექმნილი პროგრამა (მათ შორის, ვებგვერდი), გამოყოფილი ტექნიკური საშუალებები (კომპიუტერი, ფაქსი, ქსეროქსი, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები და სხვა) | საქართველოს პარლამენტი<br><br>დაინტერესებულ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი ორგანიზაციები |
| | 1.1.4. შესაბამისი სამინისტროების, სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კონცეფციების ან/და სამოქმედო გეგმების, აგრეთვე პროგრამების პროექტების საბჭოსათვის მიწოდება საბჭოს მოთხოვნის შესაბამისად, გენდერული თანასწორობის | აღნიშნული დოკუმენტების რაოდენობა, რომლებსაც განიხილავს საბჭო | საბჭო<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების; გარემოს დაცვის; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების; | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი ორგანიზაციები |

[1] შემდგომ მოხსენიებულია როგორც „საბჭო“.
[2] „სახელმწიფო ბიუჯეტი“ გულისხმობს წლიური საბიუჯეტო კანონით შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | პრინციპების გათვალისწინების შესახებ შესაძლო რეკომენდაციების შესამუშავებლად | | იუსტიციის; ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა; ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების; კულტურისა და ძეგლთა დაცვის; სოფლის მეურნეობის; ფინანსთა; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროები<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები | | |
| | 1.1.5. კანონპროექტების გენდერული ანალიზის დანერგვა პარლამენტის კომიტეტების აპარატების თანამშრომელთა უნარების გაძლიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მეშვეობით | კანონპროექტების გენდერული ანალიზის შესახებ ტრენინგის ჩატარება<br><br>ტრენინგზე დამსწრე პარლამენტის კომიტეტების აპარატების თანამშრომელთა რაოდენობა | საბჭო<br><br>საქართველოს პარლამენტი<br><br>დაინტერესებულ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი ორგანიზაციები |
| | 1.1.6. აღმასრულებელ ხელისუფლებასთან (ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე) და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან საბჭოს საქმიანობის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება საკონტაქტო პირების ქსელის | შესაბამის სამინისტროებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საკონტაქტო პირების იდენტიფიცირება და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მათი მოვალეობების განსაზღვრა | საბჭო<br><br>საქართველოს მთავრობა<br><br>საქართველოს განათლებისა და | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი ორგანიზაციები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | შექმნით და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მათი ცოდნის გაზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება | აღნიშნულ საკონტაქტო პირთა უნარების გასაძლიერებელი ტრენინგების რაოდენობა | მეცნიერების; გარემოს დაცვის; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების; იუსტიციის; ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა; საგარეო საქმეთა; ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების; თავდაცვის; კულტურისა და ძეგლთა დაცვის; შინაგან საქმეთა; სოფლის მეურნეობის; ფინანსთა; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროები<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | | |
| | 1.1.7. საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმთან საბჭოს საქმიანობის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება | საბჭოსა და ფორუმის ერთობლივი ღონისძიებებისა და შეხვედრების რაოდენობა | საბჭო<br><br>საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმი | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | | ორგანიზაციები |
| | 1.1.8. სამოქალაქო საზოგადოებასთან საბჭოს დიალოგისა და კონსულტაციების ხელშეწყობა, მათ შორის, სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიშების მომზადებისა და განხილვის გზით | ყოველწლიური კონფერენციის ჩატარება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის განხილვის, მონიტორინგისა და შეფასების მიზნით<br><br>სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული საბჭოსა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა<br><br>საბჭოსა და სამოქალაქო საზოგადოების საკონსულტაციო შეხვედრების რაოდენობა და ინტენსივობა | საბჭო<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი ორგანიზაციები |
| | 1.1.9. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების თაობაზე ანგარიშგების სისტემის დანერგვის ხელშეწყობა:<br>ა) შესაბამისი სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ წელიწადში ერთხელ საბჭოსათვის სამოქმედო გეგმის განხორციელების თაობაზე ანგარიშის წარდგენით;<br>ბ) საბჭოს მიერ წელიწადში ერთხელ პარლამენტისათვის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების თაობაზე ანგარიშის წარდგენით | შესაბამისი სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ საბჭოსათვის წარდგენილი წლიური ანგარიშების რაოდენობა<br><br>საბჭოს მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი წლიური ანგარიშების რაოდენობა | საბჭო<br><br>სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მონაწილე სამინისტროები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი ორგანიზაციები |
| | 1.1.10. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით | სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის განხორციელება | საბჭო<br><br>საქართველოს პარლამენტი<br><br>დაინტერესებულ | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი ორგანიზაციები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | | |
| | 1.1.11. ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება | ახალი სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადება | საბჭო<br><br>საქართველოს პარლამენტი<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2012–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი ორგანიზაციები |
| | 1.1.12. გორის გენდერული თანასწორობის რესურსცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა | გორის გენდერული თანასწორობის რესურსცენტრის ფუნქციონირება | საბჭო<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| განათლება და ცნობიერების ამაღლება | | | | | |
| მიზანი: გენდერული ასპექტების განათლების სფეროში შეტანისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა | | | | | |
| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა | დაფინანსების წყარო |
| 2.1. განათლების სფეროში მოქმედ ძირითად კანონებში გენდერული ასპექტების გათვალისწინება | 2.1.1. განათლების სფეროში მოქმედი ძირითადი კანონების გენდერული ანალიზის ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება გენდერული ასპექტების გასათვალისწინებლად | სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადის ამოწურვამდე განათლების სფეროში მოქმედი ძირითადი კანონების გენდერული ანალიზის ჩატარება<br><br>ანალიზის შედეგად საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება<br>ანალიზის შედეგად საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება | საბჭო<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2.2 განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის დანერგვის ხელშეწყობა | 2.2.1. შემდეგი დოკუმენტების გენდერული ანალიზის ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება:<br>• ეროვნული სასწავლო გეგმა;<br>• მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი | გეგმის მოქმედების ვადის ამოწურვისათვის აღნიშნული დოკუმენტების გენდერული ანალიზის დასრულება | საბჭო<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| | 2.2.2. სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოსათვის დამხმარე მასალების შექმნა | სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოსათვის დამხმარე მასალების შექმნა | საბჭო<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| | 2.2.3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის განკუთვნილ სასწავლო მასალებში ასახული ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება | გეგმის მოქმედების ვადის ამოწურვამდე ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება | საბჭო<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,<br>სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| | 2.2.4. გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ მასწავლებელთა გადამზადების სატრენინგო მოდულების შემუშავება და ტრენინგების ჩატარება | გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ მასწავლებელთა გადამზადების სატრენინგო მოდულების შემუშავება<br><br>ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა | საბჭო<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | (შემუშავებული მოდულების მიხედვით)<br><br>მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებსაც ჩაუტარდათ ტრენინგები | დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | | ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| 2.3. მოსახლეობის გენდერული ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა | 2.3.1. გენდერული თანასწორობის შესახებ ნორმატიული აქტების პოპულარიზაცია, გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ პერიოდული კვლევების ჩატარება და მათი შედეგების განხილვა | „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br><br>შეხვედრების მონაწილეთა რაოდენობა (რეგიონების მიხედვით)<br><br>შეხვედრებზე დარიგებული მასალების რაოდენობა<br><br>აღნიშნული კანონის ინგლისურ, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე თარგმნა<br><br>აღნიშნული კანონის გზამკვლევის გამოცემა და გავრცელება<br><br>გეგმის მოქმედების ვადის ამოწურვამდე გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ პერიოდული კვლევების ჩატარება<br><br>კვლევების შედეგების გავრცელება და საჯაროდ განხილვა | საბჭო<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–20113 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| | 2.3.2. გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ მედიაკამპანიების განხორციელება შემდეგი საშუალებებით:<br>• უფასო სოციალური რეკლამები;<br>• თოქშოუები;<br>• საგაზეთო სტატიები;<br>• საინფორმაციო მასალები;<br>• რადიოგადაცემები | მედიასაშუალებების რაოდენობა, რომლებშიც განთავსდა უფასო სოციალური რეკლამები/თოქშოუები<br><br>თოქშოუების მონაწილეთა რაოდენობა<br><br>უფასო სოციალური რეკლამების/ თოქშოუების რაოდენობა<br><br>საგაზეთო სტატიებისა და | საბჭო<br><br>საზოგადოებრივი მაუწყებელი<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | საინფორმაციო მასალების რაოდენობა<br><br>რადიოგადაცემების/რადიოსადგურების რაოდენობა | | | |
| | 2.3.3. ქალთა, მამაკაცთა და ახალგაზრდების სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისკენ (განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები, დევნილი და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისკენ) მიმართული ტრენინგების/სემინარების/ კონფერენციების/აქციების გამართვა შემდეგ საკითხებზე:<br>• გენდერული სტერეოტიპები და გენდერული დისკრიმინაცია (მათ შორის, კულტურულ/ტრადიციულ საფუძველზე);<br>• ქალთა ეკონომიკური გაძლიერება;<br>• რეპროდუქციული ჯანმრთელობა;<br>• სამშვიდობო პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაზრდა;<br>• საკუთრების უფლება | გამართული ტრენინგების/სემინარების/ კონფერენციების/აქციების რაოდენობა<br><br>ტრენინგების/სემინარების/ კონფერენციების/აქციების მონაწილეთა რაოდენობა<br><br>სამიზნე ჯგუფების რაოდენობა | საბჭო<br><br>საზოგადოებრივი მაუწყებელი<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| ეკონომიკა | | | | | |
| მიზანი: ეკონომიკის სფეროში ქალისა და მამაკაცის სრული და თანაბარი მონაწილეობის წახალისება | | | | | |
| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა | დაფინანსების წყარო |
| 3.1. მმართველობის ყველა დონეზე ბიუჯეტის გენდერული ანალიზის პრინციპების გაცნობის ხელშეწყობა | 3.1.1. შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა ბიუჯეტის გენდერული ანალიზის პრინციპების გასაცნობად | შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრების რაოდენობა<br><br>სამუშაო შეხვედრების მონაწილე სახელმწიფო მოხელეთა რანგი და რაოდენობა | საბჭო<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| | 3.1.2. ბიუჯეტის გენდერული ანალიზის შესახებ ტრენინგების/სემინარების ჩატარება სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებისათვის | ჩატარებული ტრენინგების/სემინარების რაოდენობა<br><br>ტრენინგების/სემინარების მონაწილეთა რაოდენობა<br><br>გენდერული ბიუჯეტის თემაზე ქართულ ენაზე მომზადებული | საბჭო<br><br>დაინტერესებული სამინისტროები და მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | საინფორმაციო და ანალიტიკური მასალების რაოდენობა | დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | | ორგანიზაციები |
| 3.2. ეკონომიკურ პოლიტიკასა და დასაქმებაში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება | 3.2.1. სახელმწიფო და კერძო სექტორებში დასაქმების გენდერული ნიშნის მიხედვით კვლევა და ანალიზი | ჩატარებული ანალიზის შედეგები და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება<br><br>ჩატარებული კვლევების რაოდენობა (სექტორების მიხედვით) | საბჭო<br><br>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და შერჩეული მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| | 3.2.2. პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებში, შესაძლებლობების ფარგლებში, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა, პროფესიათა არსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით | აღნიშნული პროგრამების მონაწილე ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა | საბჭო<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და შერჩეული მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | | |
| 3.3. ქალთა ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება | 3.3.1. აგრობიზნესში, მცირე ტურისტულ ბიზნესსა და ხალხური რეწვის ბიზნესში დასაქმებულ (განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ, დევნილ და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ) ქალთა ბიზნესგანათლება, მომზადება-გადამზადება და ახალ ტექნოლოგიებზე მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა მათი ეკონომიკური პოტენციალის გასაძლიერებლად | მონიტორინგის შედეგები<br><br>მონიტორინგის შედეგად მიღებული რეკომენდაციები | საბჭო<br><br>საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და შერჩეული მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| სტატისტიკა | | | | | |
| მიზანი: გენდერული სტატისტიკის სრულყოფა | | | | | |
| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა | დაფინანსების წყარო |
| 4.1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ხელშეწყობა გენდერული სტატისტიკის გასაუმჯობესებლად | 4.1.1. გენდერული ნიშნის მიხედვით ინდიკატორებისა და მონაცემების სრულყოფა | გეგმის მოქმედების ვადის ამოწურვისათვის ახალი ინდიკატორების შემუშავება<br><br>ახალი ინდიკატორების შესამუშავებლად ჩატარებული შეხვედრების/ კონსულტაციების რაოდენობა | საბჭო<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | თანამშრომლობით | | |
| | 4.1.2. ყოველწლიური სტატისტიკური კრებულის „ქალი და მამაკაცი საქართველოში“ მომზადება და გავრცელება | აღნიშნული სტატისტიკური კრებულის ტირაჟი | საბჭო<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| | 4.1.3. გენდერული საკითხების ჩართვა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სტატისტიკურ კვლევებში, კვლევების შინაარსის გათვალისწინებით | ჩატარებული კვლევების რაოდენობა, რომლებშიც ჩართული იქნება გენდერული საკითხები | საბჭო<br><br>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და სტატისტიკური კვლევების განხორციელებაში მონაწილე სხვა სახელმწიფო უწყებები<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა | | | | | |
| მიზანი: გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე ქალისა და მამაკაცის სრული და თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა | | | | | |
| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა | დაფინანსების წყარო |
| 5.1. საქართველოს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის | 5.1.1. საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის გენდერული ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება გენდერული თანასწორობის | ნორმატიული აქტების რაოდენობა, რომელთა გენდერული ანალიზიც ჩატარდება<br><br>ანალიზის ჩატარების შედეგად რეკომენდაციების შემუშავება | საბჭო<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა შესაბამისი სამინისტროები | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხელშეწყობისათვის | პრინციპების გათვალისწინებისათვის | | ეროვნული უშიშროების საბჭო<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | | არასამთავრობო ორგანიზაციები |
| 5.2. პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა | 5.2.1. პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, პოლიტიკური პარტიების პროგრამებში გენდერული ასპექტების გათვალისწინებისათვის სათანადო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა | პარტიებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br><br>გეგმის მოქმედების ვადის ამოწურვისათვის პარტიულ სიებში ქალ კანდიდატთა რაოდენობა<br><br>არჩეულ ქალ პარლამენტის წევრთა რაოდენობა | საბჭო<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| | 5.2.2. საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის მდგრადობის ხელშეწყობა და მის წევრთა უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერება | ჩატარებული ტრენინგების/სემინარების რაოდენობა<br><br>ტრენინგების/სემინარების მონაწილე ქალთა რაოდენობა<br><br>ტრენინგებზე/სემინარებზე განხილულ საკითხთა რაოდენობა | საბჭო<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| | 5.2.3. სპეციალური პროგრამების შექმნა ადგილობრივ დონეზე ლიდერ (მათ შორის, სოფლად მცხოვრებ და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ) ქალთა გამოვლენისა და მათი უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით | ადგილობრივ დონეზე ჩატარებული ტრენინგების/შეხვედრების რაოდენობა<br><br>გამოვლენილ ლიდერ ქალთა რაოდენობა | საბჭო<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| | 5.2.4. საქართველოში სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობებზე, სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა | ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br><br>ანალიზის ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება | საბჭო<br><br>საქართველოს პარლამენტი | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | დასაქმების ანალიზის ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება | | საქართველოს მთავრობა<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | | ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| მშვიდობა და უსაფრთხოება | | | | | |
| მიზანი: სამშვიდობო პროცესებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა | | | | | |
| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა | დაფინანსების წყარო |
| 6.1. სამშვიდობო პროცესებში ქალთა ფართო, აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე | 6.1.1. „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს 1325-ე, 1829-ე, 1888-ე და 1889-ე რეზოლუციების შესაბამისად ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება | აღნიშნული გეგმის შემუშავება | საბჭო<br><br>ეროვნული უშიშროების საბჭო<br><br>რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების; იუსტიციის; ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა; საგარეო საქმეთა; ფინანსთა; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | სამინისტროები<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | | |
| | 6.1.2. სახალხო დიპლომატიის მიმართულებით ქალთა ინიციატივების ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოების ჩართვით | სახალხო დიპლომატიის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების და მათი მონაწილეების რაოდენობა | საბჭო<br><br>ეროვნული უშიშროების საბჭო<br><br>რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი<br><br>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროები<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| | 6.1.3. კონფლიქტების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის რეაბილიტაციის, ინტეგრაციისა და | გეგმის მოქმედების ვადის ამოწურვამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო | საბჭო<br><br>ეროვნული უშიშროების | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | რეინტეგრაციის პროცესში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება | სტრატეგიაში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება<br><br>გეგმის მოქმედების ვადის ამოწურვამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება | საბჭო<br><br>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის; კულტურისა და მეგლთა დაცვის; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროები<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | | საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა | | | | | |
| მიზანი: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში გენდერული ასპექტების გათვალისწინება | | | | | |
| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა | დაფინანსების წყარო |
| 7.1. რეპროდუქ-ციული ჯანმრთელობის სფეროში მომსახურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ანალიზი | 7.1.1. რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად სოფლის ექიმების გადამზადების კურიკულუმში რეპროდუქციული ჯანმრთელობის კომპონენტის ჩართულობის ანალიზი | სოფლის ექიმების გადამზადების კურიკულუმში რეპროდუქციული ჯანმრთელობის კომპონენტის ასახვა | საბჭო<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სხვა სახელმწიფო უწყებები<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | | |
| 7.2. ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი | 7.2.1. ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის გენდერული ნიშნის მიხედვით შეფასება და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება | აღნიშნული კანონმდებლობის ანალიზის ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება | საბჭო<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სხვა სახელმწიფო უწყებები<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| 7.3. სოციალური დაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი | 7.3.1. სოციალური დაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის გენდერული ნიშნის მიხედვით შეფასება და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება | აღნიშნული კანონმდებლობის ანალიზის ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება | საბჭო<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები |
| გარემოს დაცვა | | | | | |
| მიზანი: გარემოს დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა | | | | | |
| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა | დაფინანსების წყარო |
| 8.1. გარემოს დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილების | 8.1.1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარემოს დაცვის საკითხების განხილვასა და შესაბამის | აღნიშნული პროცესის მონაწილე ქალთა რაოდენობა | საბჭო<br><br>საქართველოს გარემოს | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა | პრევენციულ ღონისძიებებში ქალთა აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე | | დაცვის სამინისტრო, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები | | ადგილობრივი ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები |
| 8.2. გარემოს დაცვის საკითხებზე ქალთა ცნობიერების ამაღლება | 8.2.1. „გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორჰუსის კონვენციის ფარგლებში განსახორციელებელ საკითხთა განხილვაში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა | ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br><br>აღნიშნული პროცესის მონაწილე ქალთა რაოდენობა | საბჭო<br><br>საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო<br><br>დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით<br><br>ორჰუსის ცენტრი საქართველოში | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>ადგილობრივი ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები |
| | 8.2.2. მოწყვლადი ჯგუფებისათვის სემინარების/ტრენინგების ჩატარება შემდეგ საკითხებზე:<br>• რადიაციის გავლენა მოსახლეობაზე;<br>• საყოფაცხოვრებო ნარჩენების მინიმიზაცია და სეპარაცია | ჩატარებული სემინარების/ტრენინგების რაოდენობა<br><br>სემინარების/ტრენინგების მონაწილეთა რაოდენობა | საბჭო<br><br>საქართველოს გარემოს დაცვის;<br>ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების;<br>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების;<br>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის;<br>ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროები | 2011–2013 | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | დაინტერესებულ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით | | |